

## ეპისტოლე

რიმნიკის ეპისკოპოსის ანთიმოზისა იერუსალიმის პატრიარქ  
ქრისანტოსისადმი<sup>1</sup> -

22 ოქტომბერი, 1707<sup>2</sup>

† უნეტარესს, უბრძნესსა და ღვთისგან ხელდასხმულ პატრიარქს იერუსალიმის წმინდა ქალაქისა და სრულიად პალესტინისა, ჩვენს ღირს მამას, მეუფე, მეუფე ხრისანტოსს, ღვთისმოშიშებითა და ღვთისმოსავი ქედმოდრეკით თაყვანისცემა!<sup>3</sup>

† დაუსაბამო ღმერთი<sup>4</sup> (ვინაიდან არ აქვს მას დასაბამი) სცნობს მათ, ვინც განამზადა და განამლიერა მისი ეკლესიის გამორჩეულ მესაქეებად, სწორედ ამიტომ შენი უნეტარესობა დაადგინა იერუსალიმის უწმინდესი ტახტის მწყემსად, რათა შეძლო ის, რაც ჯერ ვერ შეძლეს მათ, ვინც ამ პატივისათვის იყვნენ განწესებულნი.<sup>5</sup>

ამგვარად, თანდაყოლილი, ბუნებრივი და შეძენილი უნარებით დაჯილდოვებულ თქვენს უნეტარესობას მრავალი ღვაწლი მიგიძღვით, როგორც წმინდა პავლე წერს „მრავალ ღვაწლსა შინა“ ბრძანდები. თქვენო უნეტარესობავ, თუ დაგჭირდათ რამე, ყოველთვის დაუფიქრებლად და შეუფერხებლივ მოგვმართე მომავალშიც. რაც შეეხება იმას, რაც აქ მყოფებს კი განვუცხადეთ, მაგრამ აღარაა სალაპარაკო და დუმილი ხამს, გეტყვით პირისპირ შეხვედრისას, ხოლო, რაც აუცილებელია, უნდა დაიწეროს. აქედან გამომდინარე, გწერთ, რომ ქართული<sup>6</sup> ოდიკის გამზადება ეს-ესაა დაიწყო და დასრულდება ოთხ თვეში, რადგანაც ეს ძალიან რთული საქმეა<sup>7</sup>.

სავედრებელ პიტაკებს<sup>8</sup> რაც შეეხება, ვნახეთ, რუმინულად და სლავურად, ვთარგმნეთ, და გადავეცით სლავური ენის ჩვენს მასწავლებელს და მალევე გამოვცემთ. მაგრამ თქვენმა უნეტარესობამ არ გვამცნო, ეს დაბეჭდილი წიგნები მოლდოვეთში მყოფს გავუგზავნოთ, თუ დაველოდოთ თქვენს სასიხარულო ჩამოსვლას ჩვენთან.

ხოლო წმინდა საფლავის ოდიკზე<sup>9</sup> კი, რაკიდა უნგროვლახეთის მეტროპოლიტის სახელი მოვხსენით ხის მატრიციდან და ჩავწერეთ თქვენი უნეტარესობის სახელი, მცირე დანახარჯით<sup>10</sup> დავბეჭდავთ. ვინაიდან სპილენძის ნიმუში ჯერ-ჯერობით მზად არ არის და არც თუ მცირე ხარჯსა და დროს მოითხოვს, ხოლო ის<sup>11</sup> მალე დამზადდება თან ნიმუშთან სრული მსგავსებით, და ამასთან, ნაკლები ხარჯით, თუმცა არ ვიცი, მოეწონება თუ არა შენს უნეტარესობას, რომლის ნეტარი და ღვთისმოსავი ლოცვები შემწედ გვექცა ჩვენ.

*22 ოქტომბერი, 1707*

*თქვენი უნეტარესობის კეთილისმსურველი მსახური და ყველა ლოცვა-კურთხევის*

*შემსრულებელი რიმნიკელი*

*ანთიმოზი<sup>12</sup>*

## კომენტარები:

<sup>1</sup> რუმინულ ტექსტში აქაც და სხვა ტექსტებშიაც პატრიარქი მოიხსენიება სახელით “ხრისანტ ნოტარა.”

<sup>2</sup> კონვერტი M.P.T. N.240 [სათაურით «თურქეთის მიმოწერა»], სათაურით „Επιστολή του Αρχιεπισκόπου Ράμνικ, προς τον Πατριάρχη Χρυσσαυθι Ιεροσολύμων - 22 Οκτωβρίου 1707“ დოკუმენტი N 41 წმინდა საფლავის მეტოქიონის წერილთა საცავიდან კონსტანტინოპოლში (გამოუცემელი).

ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ. რუმინულ ტექსტთან შედარდა და შეჯერდა დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ კრებულიდან- ანთიმოზ ივერიელი, წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2016. გვ. 27-29. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2016 გვ. 29-32.

ამ ორგვერდიანი წერილის დედანი ინახება ხელნაწერის სახით კონსტანტინოპოლში წმინდა საფლავის მეტოქიონის არქივში. საქალაქე M.P.T. N. 240 დოკ. N. 41. Dosarul M.P.T. nr. 240, Documentul nr. 41 din Arhiva de scrisori a Metocului Sfântului Mormânt din Constantinopol. ტექსტი მოპოვებულია არქიმანდრიტ მიქაელ სტანჩიუს მიერ 2017 წელს. მანვე თარგმნა ბერძნული დედანიდან რუმინულ ენაზე. მითითებულ კრებულში ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა.

არქიმანდრიტი მიქაელი დაწვრილებით აღწერს დოკუმენტის მდგომარეობას. იგი წერს:“ 1707 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილი სამ საუკუნეზე მეტ ხანს არის დაცული არქივში ძალიან კარგ მდგომარეობაში. მასზე არ აღინიშნება არანაირი დაზიანება, ან ნაკლი. ტექსტი დაწერილია ქაღალდის ორივე მხარეს. ქაღალდი 4A-ფორმატზე ოდნავ მოგრძოა (29, 7სმ /21სმ), სიგანე-20, 8 სმ. გამოყენებული ქაღალდი წარმოადგენს სასტამბო ფურცელს და მასზე კარგად ჩანს შემადგენლობა: 1 სანტიმეტრიანი პარალელური და საკონტროლო ვერტიკალური ერთმანეთისაგან 2,7 სანტიმეტრით დაცილებული ზოლებით. აღწერიდან ჩანს წერილისათვის გამოყენებული ქაღალდის უმაღლესი ხარისხი. გამოყენებულია შავი მელანი; ნაწერი არის მკაფიო, მარჯვნივ ოდნავ დახრილი სადა კალიგრაფიული ხელწერით, წვეტიანი მახვილი დაბოლოებების, ქვემოთ ჩასვლებისა ან ორნამენტების გარეშე“(იხ. აღნიშ. კრებულის გვ. 29). არქ. მიქაელი თვლის, რომ, ეს ყოველივე მიუთითებს წერილის ოფიციალურ ხასიათზე. აღსანიშნავია, რომ წერილში გამოყენებულია ორი სახის ხელწერა. უეჭველია, რომ წერილი, ანთიმოზის მიერაა შედგენილი, თუმცა იგი მას საკუთარი ხელით არ დაუწერია. რაც შეეხება წერილის ბოლოს, იგი ანთიმის მიერ პირადად არის ხელმოწერილი. წერილის ბოლოში არსებული ფაქსიმილე განსხვავდება ძირითადი ტექსტის ხელწერისაგან. ფაქსიმილეთი ანთომიში ადასტურებს, რომ წერილის ავტორი იგია.

<sup>3</sup> ანთიმოზი აქ იყენებს პატივისცემის გამოხატვისათვის მაღალფარდოვანსა და თითქოსდა ზედმეტად აღმატებულ ტერმინოლოგიას. მაგრამ, როგორც ანთიმის მკვლევარები (იხ. არქ. მიქაელი, აკად. შტრემპელი, სხვ.) სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს არ არის მაღალი იერარქის გულის მოსაგებად გამოყენებული ყალბი შინაარსით დატვირთული დითირამბი. ანთიმოზი გულწრფელ პატივისცემას გამოხატავს პატრიარქი ხრისანტის მიმართ, რაც საბუთდება როგორც მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ასევე მისი თანამედროვეების მოგონებებითა და ჩვენამდე მოღწეული ფაქტებით მისი ბიოგრაფიიდან. ანთიმის ეს განწყობა მთელს მის ამ წერილს თან გასდევს.

<sup>4</sup> ტექსტში გამოყენებულია სიტყვა -ἀνάγκη- შეიძლება ითარგმნოს, როგორც დროის მიღმა მყოფი.

<sup>5</sup> აქაც ნათლად ჩანს ის დიდი პატივისცემა, რომელსაც გამოხატავს რიმნიკის ეპისკოპოსი ანთიმოზი ივერიელი ახლად ინტრონიზებული იერუსალიმის პატრიარქის მიმართ, რომელიც 1707 წლის თებერვალში იქნა აღყვანილი ტახტზე. ამ წერილით დასტურდება ხანგრძლივი კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მათ შორის. კვლევებითა და სხვადასხვა ფაქტუალური მასალებით დადასტურებულია, რომ ანთიმის მხრიდან ასეთივე მხარდაჭერით სარგებლობდა ხრისანტის ბიძა დოსითეოს ნოტარა (იხ. აკად. გაბრიელ შტრემპელი, ანთიმოზ ივერიელი; GABRIEL STREMPER (1997), ANTIM IVIREANUL. EDITURA ACADEMIEI ROMANE. BUCURESTI). ასევე ჩანს ეპისკოპოს ანთიმოზის სურვილი გვერდში დადგომოდა და მხარი დაეჭირა ხრისანტოსისათვის დასახული მიზნების აღსრულებაში, მართლმადიდებლობის განმტკიცების საქმეში, წიგნებისა და ოდიკების ბეჭდვაში, რაც განსაკუთრებულად საშური საქმე იყო იმ ქვეყნების ქრისტიანებისათვის, ვინც თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ანთიმოზი ამავდროულად აღიარებდა ხრისანტოსს, როგორც იერუსალიმის ღირსეულ, ბრძენსა და მოშურნე მწყემსს, რომელიც მოწოდებული იყო „დაეცვა და მტკიცედ ემართა ეკლესიის საქმე“ თავისი ლიტურგიკული, აპოლოგეტიკური და მისიონერული მოღვაწეობით

<sup>6</sup> ბერძნულ ტექსტში არის იბერიული ანტიმისონი, რაც ქართულ თარგმანში ოდიკად გადმოდის.

<sup>7</sup> ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ანთიმოზ ივერიელი მუშაობდა ქართულენოვან ოდიკზე, რათა იგი მშობლიურ ქვეყანაში ქრისტიანებისათვის გაეგზავნა. 1707 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული წერილის შედგენისათვის, ის ვარაუდობდა, რომ კიდევ ოთხი თვე იყო საჭირო მისი

დასრულებისთვის. ანთიმის წუხს, რთული სამუშაოა შესასრულებელიო. საქმე ისაა, რომ ანთიმს მოუწია მაცხოვრის გარდამოხსნის ხატის ოდიკის მატრიცაზე, რომელიც რუმინულენოვანი ტექსტით იყო გამშვენებული რუმინული ტექსტი ჩაენაცვლებინა ქართული ასოებისაგან შედგენილი ტექსტის მატრიცით. რაც მისგან ფილიგრანული დონის ოსტატობას მოითხოვდა. არქიმანდრიტი მიქაელი გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ მიტროპოლიტმა ანთიმოზ ივერიელმა თბილისში გააგზავნა რიმნიკში დაბეჭდილი ქართულენოვანი ოდიკები, მათი მატრიცა, ქართულენოვანი სტამბა მის საუკეთესო მოწაფე მიხაი იშტვანოვიჩთან ერთად 1708-09 წლების მონაკვეთში. (იხ. Ibid.:გვ. 30-31). იქვე ანთიმის მკვლევარი მიუთითებს: “მნიშვნელოვანი აღსანიშნავი ფაქტია, რომ წმ. ანთიმოზს არასდროს დავიწყებია თავისი წარმომავლობა. უფრო მეტიც, მან თავდაუზოგავად იღვაწა იმ სირთულეებისა და სიძნელეების გადასაწყვეტად, რომლის წინაშეც იდგა საქართველოს ეკლესია კათოლიკული პროზელიტიზმისა და ისლამური ბატონობის ხანაში“. (ibid.: გვ.31).

<sup>8</sup> როგორც ჩანს, ამ სიტყვაში იგულისხმება თავად პატრიარქ ხრისანტოსის მიერ დაწერილი; თეოლოგიურ-სამოძღვრო წიგნები (ჰომილიები და კატეხეზები), ეს ნაშრომები, სავარაუდოდ გარკვეულ თეოლოგიურ-ფილოლოგიური სპეციფიკის მატარებელნი იყვნენ, რადგან წმ. ანთიმოზი, მიუხედავად იმისა, რომ თავად იცოდა სლავური ენა, ამ ენაზე გადასათარგმნად აღნიშნულ წიგნებს აბარებს შესაბამის სწავლულს. პატრიარქ ხრისანტის მიერ დაწერილი ეს წიგნები რუმინულ და სლავურ ენებზე დაიბეჭდა 1707 წლის 22 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ამ წიგნებს ვერ ვპოულობთ ვერც რიმნიკში და ვერც შემდგომში ბუქარესტში დაბეჭდილ წიგნთა ჩამონათვალში. არქიმანდრიტი მიქაელი გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ამ წიგნების ეგზემპლარები შესაძლოა გადაცემული იყო პირადად ხრისანტოსისათვის და ისინი დაიკარგა დროთა განმავლობაში, ან შეიძლება ანთიმოზმა თავისი თავმდაბლობის გამო არ აღნიშნა საკუთარი თავი ამ წიგნების თავფურცელზე მესტამბე-გამომცემლად ( იხ. აღნიშნული ნაშრომი).

<sup>9</sup> წმინდა საფლავში იგულისხმება იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ყველა ეკლესია-მონასტერი. „ოდიკი“- ( ბერძნულად: ანტიმენსიონი (ἀντιμνησιον) - სიტყვა-სიტყვით: ტაბლის ნაცვალი) არის აბრეშუმის ნაჭერზე გამოსახული მაცხოვარი იესო ქრისტეს გარდამოხსნის ხატი, რომელშიც ჩაკერილია რომელიმე წმინდანის ნაწილი. ოდიკზე აუცილებლად გამოისახება კონკრეტული ტაძრის მღვდელმთავრის სრული ტიტული და ხელმოწერა (ფაქსიმილე). ამით გამოიხატება მოცემული ტაძრის მღვდელმსახურთა და მრევლის კანონიკური სტატუსი. ოდიკი დაკეცილ მდგომარეობაში მუდმივად დაბრძანებულია საკურთხეველში ტრაპეზზე. ის იშლება მხოლოდ წმინდა ლიტურგიის შესრულების დროს. მის გარეშე ღვთისმსახურების ჩატარება არაკანონიკურია და ღვთისმსახურისათვის დასჯად ქმედებად ითვლება. ტაძრის გარეთ, ტყეში, მთაში, უმოქმედო ტაძარში მისიონერული მოგზაურობისას წირვის ჩატარებისათვის აუცილებელია ოდიკის ქონა, რაც თავად მღვდელმსახურის და მის მიერ ჩატარებული მღვდელმსახურების მაღლმოსილების ხილული ნიშანია (დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მთარგმნელის კომენტარი).

<sup>10</sup> წერილიდან ჩანს, რომ წმინდა ანთიმოზი დიდი შრომითა და ხარჯებით, ასევე ამზადებდა იერუსალიმის საპატრიარქოსთვის ოდიკების დასაბეჭდად მატრიცას და ამისათვის მასალად იყენებდა უკვე სპილენძის მასალას. ეს ფაქტი ამ წერილში პირველად იხსენიება, აქედან დასტურდება იმ დროისათვის ტექნოლოგიურად განვითარებული სპილენძის მატრიცების არსებობა ვლახეთში, მაგრამ მსგავსი მატრიცის დამზადების პროცესი, იყო ძნელი და შრომატევადი, წმინდა ანთიმოზი ჰპირდება პატრიარქ ხრისანტს, რომ მოკლე ვადაში ხის მატრიცის გამოყენებით დაბეჭდავს ოდიკების გარკვეულ

---

რაოდენობას. ხის მატრიცა, რომელიც ძალიან მოსწონდა ხრისანტს გამოიყენებოდა უნგროვლახეთის ეკლესიის ოდიკების დასაბეჭდად და მინიმალური ცვლილებებით - მიტროპოლიტ თეოდოსის სახელის ჩანაცვლებით იერუსალიმის პატრიარქის ხრისანტის სახელით და ტიტულატურით. აქედან ვასკვნიტ, რომ ანთიმოზ ივერიელს, როგორც გამორჩეულ ქსილოგრაფს გაუკეთებია რუმინულენოვანი ოდიკები მატრიცაზე და მათ ბეჭდავდა სავარაუდოდ ან ბუქარესტში როგორც მღვდელ-მონაზონი-მესტამბე (1690-1694, 1701-1705), ან სნაგოვში, მონასტრის წინამძღვარად ყოფნის პერიოდში (1694-1701), ცხადია, რომ ანთიმი ამ საქმით იყო დაკავებული.

<sup>11</sup> გულისხმობს ხის მასალისგან დამზადებულ მატრიცას.

<sup>12</sup> ეს არის ერთადერთი წერილი-ოფიციალურ დოკუმენტი, რომელზეც ეპისკოპოსი ანთიმოზ ივერიელი პირადად აწერს ხელს.